თბილისის თავისუფალი აკადემია

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. თბილისის თავისუფალი აკადემიის (შემდგომში - „აკადემია“) საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური წარმოადგენს აკადემიის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიის საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებას და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობას.

1.2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აკადემიის დებულების, პერსონალის მართვის წესის, ამ დებულებისა და აკადემიის მართვის ორგანოების სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

მუხლი 2. სამსახურის მართვა

2.1. საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი და შესაძლებელია ჰყავდეს მთავარი სპეციალისტი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის რექტორი.

2.2. სამსახურის ხელმძღვანელის/მთავარი სპეციალისტის ფუნქციები:

ა. ინფორმაციის მოძიება საერთაშორისო პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, კვლევითი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ, მათთან კომუნიკაციისა და ერთობლივი პროექტების შემუშავების უზრუნველყოფა;

ბ. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობის შესახებ ინფორმაციის მოძიება;

გ. აკადემიის სახელით ერთობლივი საგრანტო, სასტიპენდიო და კვლევითი პროექტების კოორდინირების უზრუნველყოფა;

დ. საერთაშორისო სტუდენტების დახმარება აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართვაში;

ე. საქმიანი ურთიერთობების დამყარება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, სასწავლო - სამეცნიერო ცენტრებთან, კულტურულ - სპორტულ, შემოქმედებითი და სხვა სახის ორგანიზაცია - დაწესებულებებთან, ცნობილ მეცნიერებთან და საზოგადო მოღვაწეებთან;

ვ. სოციალურ, კულტურულ, გარემოსდაცვით და საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი თემების განხილვაში მონაწილეობის უზრუნველყოფა;

ზ. კონფერენციებისა და სხვადასხვა სახის ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება;

თ. აკადემიაში კულტურულ - შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა;

ი. აკადემიის დებულებით, სამსახურის დებულებით, მოქმედი კანონმდებლობით და აკადემიის მართვის ორგანოების სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სამსახურის სხვა ფუნქციების განხორციელება;

კ. მონაწილეობს აკადემიის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

მუხლი 3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

3.1. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს სენატი;

4.2. დებულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

4.3. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.